

თ. ბ. არმსტრონგი, „საომარი მოქმედებების ზონაში მოგზაურობის დღიური...“

T. B. Armstrong, Journal of Travels in the Seat of War, During the Last Two Campaigns of Russia and Turkey: Intended as an Itinerary Through the South of Russia, the Crimea, Georgia, and Through Persia, Koordistan, and Asia Minor, to Constantinople. With Map Expressly Drawn Up, and Illustrative of the Author's Tour. London, A. Seguin, 1831

On the opposite side of the river we saw a German colony; soon after which we arrived at the barrier of Tiflis, where we deposited our passports. The entrance into the city is lively, the road being constructed on the side of an eminence, which overlooks the town. We passed a fine building (the residence of the governor), and having traversed a few streets, alighted at a poor hotel (and the only one in the town), which is kept by a Frenchman (83).

მდინარის მოპირდაპირე მხარეს გერმანული კოლონია დავინახეთ; ცოტა ხნის შემდეგ ტფილისის საგუშაგოზე მივედით, სადაც ჩვენი პასპორტები ჩავაბარეთ. ქალაქში შესასვლელი გამოცოცხლებულია, გზა გორაკის ფერდობზეა გაყვანილი, საიდანაც ქალაქის ხედი იშლება. ჩვენ ლამაზ შენობას (გუბერნატორის რეზიდენცია) გავუარეთ და რამდენიმე ქუჩის გავლის შემდეგ ღარიბ (დედაქალაქში ერთადერთ) სასტუმროში მივედით, რომელიც ერთ ფრანგს ეჭირა.

I have no doubt but that, in a few (85) years, Tiflis may rank with any second class of cities in Europe. (86)

ეჭვი არ მეპარება, ეჭვი არ მეპარება, რომ რამდენიმე წელიწადში ტფილისს ევროპის მეორე კლასის ნებისმიერ ქალაქებს შორის შეეძლება ადგილის დაკავება.

The population is upwards of forty thousand, and consists of Georgians, Armenians, Russians, Germans, Tartars (various tribes), and Circassians, with Lesguins, Mingrelians, Immeritians, and a few Persians, Jews, and Turks. (86)

მოსახლეობა 40,000 სულს აღემატება და შედგება ქართველების, სომხების, რუსების, გერმანელების, თათრებისა (სხვადასხვა ტომები) და ჩერქეზების, აგრეთვე ლეკების, მეგრელების, იმერლებისა და მცირე რაოდენობით სპარსელების, ებრაელებისა და თურქებისგან.

The Georgians are a fine, robust, and healthy people, fond of manly exercises, but are in general addicted to drinking; the women have been, at all times, celebrated for their personal attractions, and they are, without exception, the handsomest females I ever met with. Previous to the Russians taking possession of this country, it was customary for the sex to be veiled; now they have not only thrown

aside that, but invariably display more of their person than is consistent with English ideas of modesty. (86)

ქართველები ლამაზი, ძლიერი და ჯანსაღი, ვაჟკაცური ვარჯიშების მოყვარული ხალხია, მაგრამ ზოგადად სასმელზე დამოკიდებულები არიან; ქალები ყოველთვის გამოირჩეოდნენ თავიანთი პიროვნული მიმზიდველობით და ისინი, გამონაკლისის გარეშე, ულამაზესი ქალები არიან, რომლებიც ოდესმე შემხვედრია. ამ ქვეყანაში რუსების შემოსვლამდე წესად იყო სახის დაფარვა; ახლა მათ არა მხოლოდ უარყვეს ეს, არამედ იმაზე უფრო მეტად წარმოაჩინენ თავს, ვიდრე ეს მოკრძალების ინგლისურ წარმოდგენებს შეესაბამება.

Silk is sent in large quantities to Moscow, in exchange for other merchandize; the Armenians, who monopolize the trade, make great purchases of Persian produce. There is a silk manufactory established here, where upwards of one hundred hands have (86) been employed; but the concern has not made any returns as yet. (87)

სხვა საქონლის სანაცვლოდ, აბრეშუმი დიდი რაოდენობით იგზავნება მოსკოვში; ვაჭრობა მონოპოლიზებული აქვთ სომხებს, რომლებიც დიდი რაოდენობით ყიდულობენ სპარსულ პროდუქციას. აქ დაარსდა აბრეშუმის ქარხანა, სადაც ასზე მეტი ადამიანი იყო დასაქმებული; მაგრამ მოგება საწარმოს ჯერ არ მიუცია.

There are several military encampments in the vicinity of Tiflis, as well as a strong garrison in the castle (88).

ტფილისის მიდამოებში რამდენიმე სამხედრო ბანაკი, ციხესიმაგრეში კი ძლიერი გარნიზონია.

The Pachas of Kars and Bayazeed are prisoners here, on *parole*; the amount of Turkish prisoners, in and about Tiflis, may perhaps be from sixteen to eighteen hundred, and are kept constantly at work. (89)

აქ პატიმრებად მყოფი ყარსისა და ბაიაზეთის ფაშები, პირობით პატიოსანი სიტყვით არიან გათავისუფლებული; თურქი პატიმრების რაოდენობა, ტფილისსა და მის გარშემო, შესაძლოა 1,600-დან 1,800-მდე იყოს და მათ მუდმივად ამუშავენ.

25th.—The arrival of two battalions of infantry from Akhalstic, where the plague is now raging, has caused some consternation here; and the fear of their bringing that frightful malady with them has been greatly augmented by the sudden death of one of their surgeons and two of his servants—their remains, together with all their effects, were immediately burnt. (90)

ქვეითთა ორი ბატალიონის ჩამოსვლამ ახალციხიდან, სადაც ახლა ჭირი მძვინვარებს, აქ გარკვეული შეშფოთება გამოიწვია; იმის შიში, რომ ეს საშინელი დაავადება მათ შემოჰყვებოდათ, საგრძნობლად გაძლიერდა მათი ერთ-ერთი ქირურგისა და მისი ორი მსახურის უეცარი სიკვდილით, მათი ნეშტები და ნივთები დაუყოვნებლივ დაწვეს.

The German colony in the neighbourhood supply the market with vegetables, milk, butter, cheese, and beer. (90)

მეზობლად მდებარე გერმანული კოლონია ბაზარს ბოსტნეულით, რძით, კარაქით, ყველითა და ლუდით ამარაგებს.

(ინგლისურიდან თარგმნა ი. ნაჭყეზიამ)